სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 5/1-12-1

ქ. თბილისი 5 იანვარი 2012 წელი

ერთი მხრივ, სსიპ ,,საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია" (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის ირაკლი ჩიქოვანის სახით, და მეორე მხრივ, შპს ,,გლობალ კონტაქტ კონსალტინგი" (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის დავით კაპანაძის სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის წესის გამოყენებით, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში ხელშეკრულება) - ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" საფუძველზე შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, დამატებით და ასევე ყველა დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული;
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე;
1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს მომსახურების შესყიდვას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად;
1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც შემსყიდველს აწვდის მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად;
1.6. ,,მიღება-ჩაბარების აქტი" - წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ფორმდება მომსახურების მიღების შემდეგ;
1.7. ,,სატელევიზიო მომსახურება'' – მიმწოდებლის მიერ შემსყიდვლისათვის სატელევიზიო სიგნალის მიწოდება ქსელის დაფარვის ზონაში;
1.8. ,,სააბონენტო გადასახადი'' – კალენდარული თვის განმავლობაში მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გასაწევი მომსახურების საფასური. ცალკეული სახეობების (პაკეტების) საფასურის განაკვეთები განისაზღვრება მიმწოდებლის პრეისკურანტით;
1.9. „მოწყობილობა'' – რესივერი, თავაკი, მიმღები ანტენა და სხვა, რომლებიც საჭიროა მიმწოდებლის მომსახურების მისაღებად;
1.10. ,,დეკოდერი'' – სისტემასთან მიერთების ელექტრონული ბარათი (ციფრული ტელევიზიის ინდივიდუალური მიღების ტექნიკური ელემენტი), რომელიც აძლევს

შესაძლებლობას მის მფლობელს აქტივაციის შემდეგ მიუერთდეს სისტემას და მიიღოს ციფრული ტელევიზიის პაკეტი;
1.11. „ციფრული პაკეტი" – ციფრული სიგნალი, რომელიც წარმოადგენს ღია და დახურული ტელე-რადიო პროგრამების ერთობლიობას, რომლის შემსყიდველთან მიწოდება ხდება ხელშეკრულების საფუძველზე.

2. ხელშეკრულების საგანი

მიმწოდებელი შემსყიდველს მიაწვდის სატელევიზიო სიგნალს (შემდგომში მომსახურება), შესყიდვის CPV: 92200000, ხოლო შემსყიდველი მიმწოდებელს გადაუხდის მიღებული მომსახურების საფასურს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1920 (ათას ცხრაას ოცი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის ჩათვლით.

4. მომსახურების დასახელება, ღირებულება და რაოდენობა

4.1. მომსახურების დასახელება: სატელევიზიო სიგნალის მიწოდება.
4.2. მომსახურების რაოდენობა და ღირებულება: 17 ცალი (ს.ნ.: 10299, 10301, 10344, 10302, 10315, 10316, 18076, 10313, 10296, 10304, 10306, 10308, 10325, 10312, 10324, 10323, 10326) 5 ლარიანი პაკეტი; 3 ცალი 15 ლარიანი პაკეტი (ს.ნ.: 10256, 10294, 10293); 1 ცალი 30 ლარიანი პაკეტი (ს.ნ.: 10297).
4.3. სააბონენტო გადასახადი შეადგენს 160 (ას სამოცი) ლარს ყოველთვიურად.
4.4. მომსახურების ჯამური ღირებულება - 1920 (ათას ცხრაას ოცი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის ჩათვლით.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

შემსყიდველი მიმწოდებელთან ანგარიშსწორებას ახორციელებს ეროვნულ ვალუტაში, მიმწოდებლის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე ყოველთვიურად სააბონენტო გადასახადის გადარიცხვით, მომსახურების მიღების თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის შემსყიდველის მხრიდან ხელმოწერიდან და შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის (ინვოისი) წარდგენიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

6. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

6.1. მომსახურების გაწევის ადგილი: ქ.თბილისი, ქ.წამებულის გამზ., ბოჭორმის ქ. № 50/18.
6.2. მომსახურების გაწევის ვადა: 2012 წლის 1იანვრიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

\

7. სტანდარტები და გარანტია

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ხარისხიანი და სტანდარტების შესაბამისი მომსახურების მიწოდება.
7.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი მომსახურების დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
7.3. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები დეფექტის ან ნაკლის გამოსწორებისათვის და მიმწოდებელს მოსთხოვოს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

8. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

8.1. შემსყიდველი ვალდებულია:
8.1.1. დაიცვას მიმღები მოწყობილობის ექსპლუატაციის პირობები; არ გაასხვისოს, არ გააჩუქოს, არ გააქირავოს, არ დააგირავოს და უფლებრივად სხვაგვარად არ დატვირთოს მიმღები მოწყლობილობა. წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში დეკოდერი დაუბრუნოს მიმწოდებელს. თვითნებურად არ გადაადგილოს მიმღები ანტენა;
8.1.2. არ მიაწოდოს ციფრული პაკეტი მიმწოდებლის თანხმობის გარეშე მესამე პირს; არ დაუშვას ციფრული პაკეტის რეტრანსლაცია, ჩაწერა, გადაწერა, საჯარო ჩვენება, დუბლიკატის ან ასლის გადაღება კომერციული მიზნებისათვის;
8.1.3. აანაზღაუროს მოწყობილობის დაზიანებით გამოწვეული დამატებითი სამუშაოს ხარჯი;
8.1.4. უზრუნველყოს მიმწოდებლისათვის მიღებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

8.2. მიმწოდებელი ვალდებულია:
8.2.1. უზრუნველყოს ქსელის დაფარვის ზონაში სატელევიზიო სიგნალის მიწოდება;
8.2.2. მიაწოდოს სათანადო ხარისხის მომსახურება სრული მოცულობით;
8.2.3. დროულად აღმოფხვრას ტექნიკური ხარვეზი და იმ შემთხვევაში თუ დაზიანების შესახებ შეტყობინებიდან 3 საათის განმავლობაში ვერ მოხერხდა დაზიანების აღმოფხვრა, შემსყიდველს უფასოდ მიაწვდის ციფრულ პაკეტს მომსახურების შეწყვეტის დროის შესაბამისი ხანგრძლივობით ან გადაუანგარიშებს თანხას მომსახურების შეწყვეტის დროის ხანგრძლივობის პროპორციულად;
8.2.4. პროგრამების ჩამონათვალსა და არსებულ ტარიფებში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში წერილობით აცნობოს შემსყიდველს ამის თაობაზე.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
8.3.1. მომსახურეობის საფასურის გადაუხდელობის ან/და ხელშეკრულების პირობების დარღვევის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში გაფრთხილების გარეშე შეაჩეროს მომსახურება;
8.3.2. შეწყვიტოს ცალკეული სატელევიზიო პროგრამის ან მთელი არხის რეტრანსლაცია თუ შეიზღუდება ამ არხის (პროგრამების) მაუწყებლობა საქართველოს მთელ

ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ცალკეულ ნაწილში, ასევე შეწყვიტოს არხის რეტრანსლაცია თუ აღარ ექნება გადაცემების რეტრანსლაციის უფლება, რის შესახებაც წინასწარ აცნობებს შემსყიდველს; ასეთ შემთხვევაში შეწყვეტილ არხს ჩაანაცვლებს იგივე თემატიკის სხვა არხით;
8.3.3. მოითხოვოს შემსყიდვლისგან მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

8.4. შემსყიდველს უფლება აქვს:
8.4.1. შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის ან არაჯეროვნად შესრულების გამო;
8.4.2. მოითხოვოს ციფრულ პაკეტში ცვლილების შეტანა. ასეთ შემთხვევაში მხარეების მიერ გადაიხედება არსებული ტარიფი და მოყვანილ იქნება შეცვლილ გარემოებებთან შესაბამისობაში.

9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი და შემოწმება.

9.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე ან/და შეამოწმოს მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.
9.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლისა და შემოწმების განხორციელების უფლება ენიჭება შემსყიდვლის ადმინისტრაციული დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს გრიგოლ სულუხიას, რომელიც არ იმყოფება მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
10.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, მხარე იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
10.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან/და დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
11.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმებით ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

11.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების შემდეგ.
11.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულების შესრულებისაგან.
11.5. შემსყიდველს, შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, ასევე:
11.5.1. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
11.5.2. მიმწოდებლის გაკოტრების ან/და ლიკვიდაციის შემთხვევაში;
11.5.3. თუ მისთვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ყალბია;
11.5.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.
11.6. 11.5.1. ქვეპუნქტში მითითებულ შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

12. გამოყენებული სამართალი და ხელშეკრულების ენა

12.1. ხელშეკრულება გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
12.2. ხელშეკრულება დაიწერა ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

13. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

14. დაუძლეველი ძალა

14.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.
14.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის შესახებ.
14.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები

უფლებამოსილნი არიან დავის გადასაწყვეტად მიმართონ საქართველოს შესაბამის სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

16. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება

წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის მოსამზადებელ ეტაპზე შემსყიდველის მიერ გარკვეულია, რომ შემსყიდველის მიერ არ არის დარღვეული ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ინტერესთა კონფლიქტის დებულებები.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2012 წლის 1 იანვრიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი:

სსიპ ,,საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია"
კომისიის თავმჯდომარე
ირაკლი ჩიქოვანი

მისამართი: ქ.თბილისი, ქეთევან
წამებულის გამზირი/ზოჭორმის ქ. №50/18
საიდ.კოდი: 204953050
სს ,,თი ბი სი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE11TB060000000609326

მიმწოდებელი:

შპს ,,გლობალ კონტაქტ კონსალტინგი"
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე
დავით კაპანაძე

საიდენტიფიკაციო კოდი: 204952275
ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ.
№ 89/24, მე-10 სართული
სს ,,ბაზის ბანკი"
ბანკის კოდი: GBASGE22
ა/ა: GE03BS0000000022536022

ქ. თბილისი 5 აპრილი 2012 წელი

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ი ს ა ქ ტ ი

ერთი მხრივ, სსიპ ,,საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია" (შემდგომში "კომისია"), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის ირაკლი ჩიქოვანის სახით, და მეორე მხრივ, შპს ,,გლობალ კონტაქტ კონსალტინგი" (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის დავით კაპანაძის სახით, ვთანხმდებით, რომ მხარეთა შორის 2012 წლის 5 იანვარს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"4. მომსახურების დასახელება, ღირებულება და რაოდენობა

4.1. მომსახურების დასახელება: სატელევიზიო სიგნალის მიწოდება.
4.2. მომსახურების რაოდენობა და ღირებულება: 1 ცალი 30 ლარიანი პაკეტი (№ 10297).
4.3. სააბონენტო გადასახადი შეადგენს 30 (ოცდაათი) ლარს ყოველთვიურად.
4.4. მომსახურების ჯამური ღირებულება - 270 (ორას სამოცდაათი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის ჩათვლით."

წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის 2012 წლის 5 აპრილს და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი:

სსიპ ,,საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია"
კომისიის თავმჯდომარე
მისამართი: ქ.თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი/ბოჭორმის ქ. №50/18
საიდ.კოდი: 204953050
სს ,,თი ბი სი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE11TB060000000609326

ირაკლი ჩიქოვანი

მიმწოდებელი:

შპს ,,გლობალ კონტაქტ კონსალტინგი"
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე
საიდენტიფიკაციო კოდი: 204952275
ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ. № 89/24, მე-10 სართული
სს ,,ბაზის ბანკი"
ბანკის კოდი: GBASGE22
ა/ა: GE03BS0000000022536022

დავით კაპანაძე